963/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (199) 20 იანვარი 1963 წელი

## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი

16. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კულტურულ თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირ-სირიის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

17. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გ. ა. დენისოვის გათავისუფლების შესახებ.

18. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნ. ნ. ორგანოვის დანიშვნის შესახებ.

19. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ობოლენსკის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტროტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

20. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვ. ი. უსტინოვის გათავისუფლების შესახებ.

21. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გ. ა. დენისოვის დანიშვნის შესახებ.

22. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლუქსემბურგში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. მ. ეჟოვის დანიშვნის შესახებ.

23. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის დადებული გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების და საგადასახდელო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

## განყოფილება მეორე

24. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ამხ. ა. ი. სნეჩკუსის დაჯილდოების შესახებ.
25. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი ვარსკვლავის ორდენით გენერალ-ლეიტენანტ მ. ა. კოზლოვის დაჯილდოების შესახებ.
26. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ამხ. შ. მ. არუშანიანის დაჯილდოების შესახებ.
27. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ი. შტიკოვასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
28. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის" ორდენით პროფესორ დ. ვ. ჯავახიშვილის დაჯილდოების შესახებ.
29. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის" საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის მეთაურის ამხ. ვ. ი. იაშინის დაჯილდოების შესახებ.
30. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ უზბეკეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ალმალიკსვინეცსტროის" და სხვა ორგანიზაციების მუშებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ალთინ-თოფქანის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყვია-თუთიის კომბინატის მშენებლობაზე.
31. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით აკადემიკოს დ. ი. შჩერბაკოვის დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**16** კულტურულ თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირ-სირიის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სირიის არაბთა რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი დამასკოში 1962 წლის 19 აგვისტოს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 დეკემბერი.
№ 866-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**17** ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გ. ა. დენისოვის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს გიორგი აპოლინარის ძე დენისოვი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 4 იანვარი.
№ 880-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**18** ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნ. ნ. ორგანოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ორგანოვი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 4 იანვარი.
№ 881-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**19** **ამხ. ნ. ა. ობოლენსკის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტროტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ობოლენსკი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტროტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 იანვარი.
№ 902-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**20** **უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვ. ი. უსტინოვის გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს ვლადიმერ ივანეს ძე **უსტინოვი** უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 იანვარი.
№ 909-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**21** **უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გ. ა. დენისოვის დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს გიორგი აპოლინარის ძე **დენისოვი** უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 იანვარი.
№ 910-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 22 ლუქსემბურგში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. მ. ეჟოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს იგორ მათეს ძე ეჟოვი ლუქსემბურგში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 იანვარი.
№ 918-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 23 სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის დადებული გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების და საგადასახდელო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი

გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება, დადებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის, და

საგადასახდელო შეთანხმება, დადებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის,

რომლებიც ხელმოწერილია მოსკოვში 1962 წლის 23 ივნისს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 იანვარი.
№ 927-VI.

# განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 24 ლენინის ორდენით ამხ. ა. ი. სნეჩკუსის დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ანტანას იუოზის ძე სნეჩკუსი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 5 იანვარი.
№ 895-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 25 წითელი ვარსკვლავის ორდენით გენერალ-ლეიტენანტ მ. ა. კოზლოვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით გენერალ-ლეიტენანტი მარკ ალექსანდრეს ძე კოზლოვი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 იანვარი.
№ 904-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 26 ლენინის ორდენით ამხ. შ. მ. არუშანიანის დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. შმავონ მინასის ძე არუშანიანი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 იანვარი.
№ 905-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 27 ამხ. ე. ი. შტიკოვასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თავდადებული შრომისა და მრავალი წლის მანძილზე მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის რომანოვული ცხვრის მოშენების საქმეში ივანოვოს ოლქის პალეხის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ მეცხვარეს ამხ. ელისაბედ ივანეს ასულ შტიკოვას მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 იანვარი.
№ 920-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 28 „საპატიო ნიშნის" ორდენით პროფესორ დ. ვ. ჯავახიშვილის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მედიცინის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში პროფესორი დიმიტრი ვასილის ძე **ჯავახიშვილი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 იანვარი.
№ 924-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 29 მედლით „მამაცობისათვის" საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის მეთაურის ამხ. ვ. ი. იაშინის დაჯილდოების შესახებ

თავგანწირული მოქმედებისა და მამაცობისათვის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის მეთაური ამხ. ვლადიმერ ილიას ძე **იაშინი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 იანვარი.
№ 929-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 30 სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ უზბეკეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ალმალიკსვინეცსტროის" და სხვა ორგანიზაციების მუშებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ალთინ-თოფქანის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყვია-თუთიის კომბინატის მშენებლობაზე

უზბეკეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ალთინ-თოფქანის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყვია-თუთიის კომბინატის მშენებლობაზე მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის წოდება** და გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო"**:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ნიზამ **გაზიკულოვს** — ტრესტ „ალმალიკსვინეცსტროის“ № 3 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

2. ლიდია გაბრიელის ასულ **დუდინას** — ტრესტ „ალმალიკსვინეცსტროის“ № 1 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

3. ნიკოლოზ ფილიპეს ძე **ზვერევს** — № 93 სპეციალიზებული ტრესტის სამმართველო „სტალმონტაჟის“ მემონტაჟეთა ბრიგადირს.

4. მამაჯან **ხაიდოვს** — ტრესტ „უზელექტრომონტაჟის“ ალმალიკის სამმართველოს ელექტრომონტიორთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 იანვარი.
№ 932-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 31 ლენინის ორდენით აკადემიკოს დ. ი. შჩერბაკოვის დაჯილდოების შესახებ

გეოლოგიის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი დიმიტრი ივანეს ძე **შჩერბაკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 იანვარი.
№ 934-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ალთინ-თოფქანის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყვია-თუთიის კომბინატის მშენებლობის, დაპროექტებისა და სიმძლავრეთა ათვისების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 12 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა უზბეკეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ალმალიკსვინეცსტროის“ და სხვა ორგანიზაციების 396 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებულია 7 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 60, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 81, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 117 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 131 კაცი.

უზბეკეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტი **„ალმალიკსვინეცსტროი“** დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი**

№ 2 (199) 20 იანვარი 1963 წ.

**სარედაქციო კოლეგია**

**გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**(ქართულ და რუსულ ენებზე)**

**რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 8, მთავრობის სახლი**

**ფასი 10 კაპ.**

**ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ**

№ 2 (199) 20 января 1963 г.

**Редакционная коллегия**

**Издатель — Президиум Верховного Совета ГССР**

**(На грузинском и русском языках)**

**Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели 8, Дом Правительства**

**ЦЕНА 10 КОП.**

შეკვეთა — ტირაჟი 2500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1963 წ. 20 იანვარს.

Подписано в печать 20 января 1963 г.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления Делами Совета Министров Грузинской ССР